საქართველოს კანონი

საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საზღვაო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 14 ივნისი, 1997, გვ. 10) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

საქართველოს საზღვაო კოდექსი (შემდგომ – კოდექსი) არეგულირებს საზღვაო ნაოსნობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. „საზღვაო ნაოსნობა“ გულისხმობს გემების მგზავრთა გადასაყვანად, ტვირთის, ბარგის, ფოსტის გადასაზიდად, თევზისა და სხვა საზღვაო რეწვის, სასარგებლო წიაღისეულის ძიება-მოპოვების, საბუქსირო და სამაშველო ოპერაციების წარმოებისა და სხვა სამეურნეო, სამეცნიერო და კულტურული მიზნებისთვის გამოყენებას. ეს კოდექსი არეგულირებს აგრეთვე შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობაში ჩართული გემის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.“.

2. მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ^1“ ქვეპუნქტი:

„გ^1) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობაში ჩართული გემის ტექნიკურ რეგულირებასა და ინსპექტირებას;“.

3. მე-12 მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ^1“ ქვეპუნქტი:

„დ^1) შიდა სახმელეთო წყლებში გადასაადგილებლად;“.

4. 27^2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 ნაწილი:

„1^1. შიდა სახმელეთო წყლების ტრანსპორტის სფეროში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევისა და ინციდენტის მოკვლევას ახორციელებს შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობაში ჩართული გემის ექსპლუატანტი ან/და მოკვლევის ბიურო.“.

5. 28-ე მუხლის:

ა) „ა.გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.დ“ ქვეპუნქტი:

„ა.დ) შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობაში ჩართული გემი – მცურავი საშუალება, რომელიც „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მდინარეებზე, ტბებსა და წყალსაცავებზე გადასაადგილებლად გამოიყენება;“;

ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) გემის რეგისტრაციის შეწყვეტა – გემის რეგისტრაციის გაუქმება მთავარი რეგისტრატორის გადაწყვეტილებით, ამ კოდექსის 36-ე მუხლის მე-4 ნაწილის ან/და 4^1 ნაწილის შესაბამისად;“;

გ) „ზ^2“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ^2) გემის რეგისტრაციის ყოველწლიური დამოწმება – დიდი გემისთვის – გემის რეგისტრაციის ყოველწლიური დამოწმების მოწმობისა და გემის რადიოსადგურის მოწმობის განახლება, ხოლო პატარა გემისთვის ან შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობაში ჩართული გემისთვის – რეგისტრაციის

მოწმობისა და გემის რადიოსადგურის მოწმობის (არსებობის შემთხვევაში) განახლება;“.

6. 29-ე მუხლის:

ა) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გემის რეესტრში რეგისტრაცია, გარდა ამ მუხლის 4^1 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, შეიძლება იყოს დროებითი, ვადიანი ან მუდმივი, ნაოსნობის უფლებით ან ნაოსნობის უფლების გარეშე.“;

ბ) მე-4 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 ნაწილი:

„4^1. გემის შიდა სახმელეთო წყლების გემების წიგნში რეგისტრაცია შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი.“.

7. 30-ე მუხლის:

ა) მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 ნაწილი:

„3^1. შიდა სახმელეთო წყლების გემის დროებითი რეგისტრაციის მოწმობა შეიძლება გაიცეს მუდმივ რეგისტრაციამდე, არაუმეტეს 6 თვის ვადით. შესაძლებელია ამ ვადის 1 წლამდე გახანგრძლივება.“;

ბ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის მე-3 და 3^1 ნაწილებში მითითებული 1-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ დროებითი რეგისტრაციის მოწმობის მოქმედების ვადა განსაკუთრებულ შემთხვევაში გემთმფლობელის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მთავარი რეგისტრატორის თანხმობით შეიძლება გახანგრძლივდეს, მაგრამ არაუმეტეს 1 წლისა. დროებითი რეგისტრაციის მოწმობა წარმოშობს იმავე უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებსაც მუდმივი რეგისტრაცია.“.

8. 32-ე მუხლის:

ა) პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) შიდა სახმელეთო წყლების გემების წიგნისგან.“;

ბ) მე-2 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 ნაწილები:

„2^1. თუ მცურავი საშუალება რეგისტრირებულია ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ წიგნებში, მას აქვს შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობის უფლება და არ საჭიროებს შიდა სახმელეთო წყლების გემების წიგნში რეგისტრაციას.

2^2. თუ მცურავი საშუალება რეგისტრირებულია შიდა სახმელეთო წყლების გემების წიგნში, იგი ვალდებულია მოიხსნას რეგისტრაციიდან და საზღვაო წყლებში ნაოსნობისთვის დარეგისტრირდეს ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ წიგნებში.“;

გ) მე-6 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 ნაწილი:

„7. შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობაში ჩართული გემის რეგისტრაციასთან დაკავშირებით გამოიყენება აგრეთვე ამ კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილით, 28-ე მუხლის „ბ“–„ზ^1“, „თ.ა“, „თ.გ“ და „კ“ ქვეპუნქტებით, 29-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, მე-5 ნაწილის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებითა და მე-6, მე-7 და მე-9 ნაწილებით, 30-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილებით, 31-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამ მუხლის 1^1, 1^2, მე-2 და მე-3 ნაწილებით, ამ კოდექსის 35-ე მუხლის პირველი და მე-7 ნაწილებით, 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით, მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და „ე“–„თ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“–„დ“ და „ზ“

ქვეპუნქტებითა და მე-5–მე-7 ნაწილებით, 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-40 მუხლის პირველი ნაწილითა და XIII თავით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.“.

9. 34-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„3. შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობაში ჩართული გემების ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს ტექნიკური ზედამხედველობის ორგანიზაცია, რომლის აღიარების წესი და პირობები განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის ნორმატიული აქტით.“.

10. 35-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 ნაწილი:

„2^1. შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობაში ჩართული გემის რეგისტრაციის მოწმობა შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი.“;

ბ) მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 ნაწილი:

„3^1. შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობაში ჩართული გემის დროებითი რეგისტრაციის მოწმობა შეიძლება გაიცეს მუდმივ რეგისტრაციამდე.“;

გ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პატარა გემის, ზომამცირე გემის ან შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობაში ჩართული გემის მუდმივი რეგისტრაციის შემთხვევაში რეგისტრაციის მოწმობა ყოველწლიურად განახლდება.“.

11. 36-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) რეგისტრაციის მოწმობის მოქმედების ვადის გასვლა, თუ ამ ვადის გასვლამდე გემთმფლობელი არ მოითხოვს რეგისტრაციის მოწმობის განახლებას ამ კოდექსის 35-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ან რეგისტრაციის მოწმობის დამოწმებას იმავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად;“;

ბ) მე-4 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 ნაწილი:

„4^1. შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობაში ჩართული გემის რეგისტრაციის შეწყვეტის საფუძველია:

ა) რეგისტრაციის შემდეგ გემის მიერ ნაოსნობაუნარიანობის დაკარგვა ან მისი სხვაგვარად განადგურება, მათ შორის, ხანძრის ან ჩაძირვის შედეგად;

ბ) გემის მდგომარეობის ამ კოდექსის დებულებებთან, გემის რეგისტრაციის პირობებთან ან/და უსაფრთხოების სტანდარტებთან შეუსაბამობა.“;

გ) მე-5 და მე-6 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის მე-3, მე-4 ან 4^1 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გემთმფლობელი ვალდებულია შეატყობინოს სააგენტოს ასეთი შემთხვევის შესახებ.

6. ამ მუხლის მე-3, მე-4 ან 4^1 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გემის რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება მთავარი რეგისტრატორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.“.

12. 38-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 ნაწილი:

http://www.matsne.gov.ge

„1 . შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობაში ჩართული გემი სანაოსნოდ დაიშვება, თუ მისი მდგომარეობა შეესაბამება ნაოსნობის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.“.

მუხლი 2

1. 2026 წლის 1 ივლისამდე:

ა) საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს „საქართველოს შიდა სახმელეთო წყლების ტრანსპორტის უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 27 დეკემბრის №451 დადგენილების ამ კანონთან შესაბამისობა;

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ უზრუნველყოს:

ბ.ა) შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობაში ჩართული გემების ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი ტექნიკური ზედამხედველობის ორგანიზაციის აღიარებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცება;

ბ.ბ) სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

2. 2026 წლის 1 ივლისიდან 2026 წლის 1 სექტემბრამდე „შიდა სახმელეთო წყლებში ნაოსნობაში ჩართული გემი“ გულისხმობს „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მდინარეებზე, ტბებსა და წყალსაცავებზე გამოყენებულ მცურავ საშუალებას.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივლისიდან.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

29 აპრილი 2026 წ.

N1543-Vმს-XIმპ